სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/07

ქ. თბილისი 28 თებერვალი 2020

სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფ. ვაჟა პაპასკირის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 28 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის წესდების შესაბამისად, ცნობილ იქნეს სტუ-ის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, პროფ. ვაჟა პაპასკირის უფლებამოსილება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**